

ქ.ბორჯომი

21 დეკემბერი 2020 წ

(2020 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული # 488 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში (NAT 200011357) ცვლილებების შეტანის შესახებ)

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ფაქტიური მისამართი ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. N5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961, წარმომადგენელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ დავით ზაალიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „მშენებელი 2012“-ს, მისამართი ქ. ბორჯომი, სააკადის N2 საიდენტიფიკაციო კოდი 426109622, წარმომადგენელი დირექტორი ვახტანგ კაპანაძის სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის“ ჩატარების წესის მე-36 მუხლის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2020 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული N488 ხელშეკრულების (NAT200011357) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-18 მუხლის, მონიტორინგისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელის გაიოზ დვალიშვილის 2020 წლის 21 დეკემბრის N03-162035651 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის გაფორმებულ N488 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში (NAT 200011357) შევიდეს ცვლილება.

1. შევიდეს ცვლილება 2020 წლის 18 სექტემბრის N26 (NAT 200011357) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების 1 მუხლით გათვალისწინებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების მოვლა-პატრონობის სამუშაოებში, რომელიც აისახება კორექტირებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების მოვლა-პატრონობის სამუშაოები.“

2. 2020 წლის 18 სექტემბრის N488 (NAT 200011357) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება 300 778 (სამასი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარი გაიზარდოს 30 077 (ოცდაათი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარით და 63 თეთრით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 330 855 (სამას ოცდაათი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარს და 63 თეთრს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. 2020 წლის 18 სექტემბრის N488 (NAT 200011357) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადა გაიზარდოს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ შესრულებამდე.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ხუთ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი ოთხი რჩება შემსყიდველს.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ

დ. ზაალიშვილი

შპს „მშენებელი 2012“-ის დირექტორი

ვ. კაპანაძე